



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

27 აგვისტო 2024



N 476/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

მცხეთის მუნიციპალიტეტში, მუხრანისა და ძეგვის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე წელიწადში ჯამურად 1 700 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის გამოყენების მიზნით მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტში, მუხრანისა და ძეგვის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე წელიწადში ჯამურად 1 700 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის გამოყენების მიზნით მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტში, მუხრანისა და ძეგვის ადმინისტრაციულ ერთეულებში და წარმოდგენილია ორ უბნად, კერძოდ, არმაზის სათავე ნაგებობა, სადაც განთავსებულია ერთი ჭაბურღილი (GPS კოორდინატები: X-471012 Y-4632045) და ქსანი-მუხრანის ველის სათავე ნაგებობა, სადაც განთავსებულია 8 ჭაბურღილი (GPS კოორდინატები: X-463982 Y-4640270; X-463924 Y-4640376; X-464011 Y-4640184; X-464045 Y-4640087; X-463916 Y-4640479; X-463939 Y- 4640513; X-463825 Y- 4640477; X-463891 Y- 4640564). არმაზის სათავე ნაგებობა მდებარეობს ზღვის დონიდან 506 მეტრ სიმაღლეზე, ხოლო ქსანი-მუხრანის ველის სათავე ნაგებობა განთავსებულია ზღვის დონიდან 525-531 მეტრ სიმაღლეზე. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი დასახლებული პუნქტი არმაზის სათავე ნაგებობიდან დაშორებულია დაახლოებით 150 მეტრით, ხოლო ქსანი-მუხრანის ველის სათავე ნაგებობიდან – დაახლოებით 360 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში წიაღისეულის მოპოვების ობიექტიდან გათვალისწინებულია წელიწადში ჯამურად 1 700 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის (არმაზის სათავე ნაგებობიდან – 200 000 მ³/წელი; ქსანი-მუხრანის ველის სათავე ნაგებობიდან – 1 500 000 მ³/წელი) კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის გამოყენების მიზნით მოპოვება და ლიცენზიის გაცემის ვადად განსაზღვრულია 25 წელი.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ჰიდროგეოლოგიური დარაიონების თვალსაზრისით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ფოროვანი, ნაპრალოური და ნაპრალოურ-კარსტული წყლების ქართლის არტერიული აუზის ზონაში. არმაზის სათავე ნაგებობის ტერიტორია წარმოდგენილია შუა

ეოცენის ზღვიური ვულკანოგენურ-დანალექი ქანების წყალშემცველი კომპლექსით, რომელიც აგებულია ლავური ანდეზიტების განფენებით, მათი ტუფებით, ტუფობრექჩიებით, ტუფოქვიშაქვებით, ტერიგენული ქვიშაქვებით, რომლებიც ხასიათდება ნაპრალიანობით. მუხრანის ველის ტერიტორია წარმოდგენილია ორი წყალშემცველი ჰორიზონტით – გრუნტისა და წნევიანი წყლებით. გრუნტის წყლების ჰორიზონტი პირველია მიწის ზედაპირიდან და წარმოდგენილია ალუვიური კაჟარ-კენჭნარით, ქვიშისა და ქვიშნარების შემავსებლებით, ხოლო ჰორიზონტის სიმძლავრე 25 მეტრია. წნევიანი წყლების ჰორიზონტი განლაგებულია უშუალოდ გრუნტის წყლების ჰორიზონტის ქვევით, 45-68 მეტრ სიღრმეზე, ხოლო ჰორიზონტის საშუალო სიმძლავრე 22 მეტრია.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, მორფოლოგიური თვალსაზრისით, არმაზის სათავე ნაგებობის ჭაბურღილი მდებარეობს მდ. მტკვრის მარჯვენა მხარეს, მთა სამებას ჩრდილოეთ ექსპოზიციის დახრილობის ფერდობის ძირში, ხოლო ქსანი-მუხრანის ველის სათავე ნაგებობის 8 ჭაბურღილი მდებარეობს ქსნის ვაკე რელიეფის მქონე ჭალისზედა I ტერასაზე. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სართულის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) სართულის კატეგორიას. საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიაზე საშიში გეოდინამიკური პროცესები არ ფიქსირდება და წიაღითსარგებლობის ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მათი გააქტიურება არ არის მოსალოდნელი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სალიცენზიო ობიექტი შესწავლილია ჰიდროლოგიური აგეგმვის სტადიაზე და მისი ზუსტი დებიტი უცნობია. დოკუმენტის თანახმად, საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით. შესწავლილობის ხარისხის გათვალისწინებით, წიაღითსარგებლობის ობიექტიდან წელიწადში ჯამურად 1 700 000 მ³ რაოდენობის მიწისქვეშა მტკნარი წყლის მიღება შესაძლებელია.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ქიმიური შედგენილობით, არმაზის წყლები ჰიდროკარბონატულ-სულფატური და კალციუმიან-ნატრიუმიანია, ხოლო ქსანი-მუხრანის ველის წყლები ჰიდროკარბონატულ-კალციუმიანი ან კალციუმიან-ნატრიუმიანია. არმაზის წყლების საერთო მინერალიზაცია 0,2-1,0 გ/ლ-ის, ხოლო ქსანი-მუხრანის ველის წყლების საერთო მინერალიზაცია 0,25-0,5 გ/ლ-ის ფარგლებში მერყეობს. მიწისქვეშა წყლების ტემპერატურა 9-16°C-ის და 14-15°C-ის ტოლია. ჰორიზონტის მიწისქვეშა წყლების სანიტარიული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის გამოყენება შესაძლებელია.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი საჭიროებს თავმორთულობების მოწყობას, შემოღობვასა და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება არ იქნება დაკავშირებული მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების განხორციელებასთან და ახალი ტერიტორიების ათვისებასთან, რაც გამოიწვევდა გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე ზემოქმედებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, მიწისქვეშა მტკნარი წყლების მოპოვების პროცესში ნარჩენების წარმოქმნა, გარემოს დაბინძურება და ხმაური, ასევე, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, ხოლო ბუნებრივი რესურსებიდან გამოყენებული იქნება წყალი. წიაღით (წყლით) სარგებლობის სალიცენზიო პირობების განხორციელებით, რომელსაც ადგენს ლიცენზიის გამცემი ორგანო, დაგეგმილი საქმიანობა არ გამოიწვევს წყლის გარემოს დაბინძურებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, წიაღითსარგებლობის ობიექტი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული ტერიტორიების სიახლოვეს, ხოლო მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით, სახელმწიფო ტყე არმაზის უბნიდან დაშორებულია დაახლოებით 10 მეტრით და ქსანი-მუხრანის უბნიდან – დაახლოებით 17 მეტრით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, სალიცენზიო ობიექტიდან წელიწადში ჯამურად 1 700 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის გამოყენების მიზნით მოპოვება არ იქნება დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში, მუხრანისა და ძეგვის ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორიაზე წელიწადში ჯამურად 1 700 000 მ³ მიწისქვეშა მტკნარი წყლის კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის გამოყენების მიზნით მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოს და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

<https://edocument.ge/mea/public/#/476-21-4-202408271654>

